ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990 ხუთშაბათი 27 სექტემბერი №116 (10353) ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## გავაკეთოთ სწორი არჩევანი

...ლი საქართველო რთული ცხოვრებით ცხოვრობს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხის არსებობის ისტორიაში მიმდინარე პერიოდი ერთ-ერთი უმტკივნეულესი ხანაა თავისი დრამატიზმით, სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეებით, პოლიტიკური კატაკლიზმებით. ამდაგვარი მძაფრი კოლიზიებისა და დაძაბული სიტუაციის ფონზე მიმდინარეობს ისტორიული მნიშვნელობის კამპანია — საქართველოს მომავალი უზენაესი საბჭოს არჩევნები. არსებითი და ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ერის ისტორიაში მოწმენი ვხდებით უპრეცედენტო შემთხვევისა: უარს ვეუბნებით ათწლეულების მანძილზე ჩვენში დამკვიდრებულ ერთპარტიულ საარჩევნო სისტემას, რომელმაც ჩვენს ყოფაში დაამკვიდრა არაერთი პარადოქსი, აბსურდული სტრუქტურა, თუ ცნება. სხვა გაუგებარ, ალოგიკურ მოვლენებთან ერთად სწორედ ისიც იყო მიზეზი იმისა, რომ ჩვენი ხალხის პოლიტიკურ-ეკონომიკური, თუ კულტურული ცხოვრების სფეროს ფითრივით შეეძლო უამრავი სიმახინჯე, ანომალია.

ეს გრძელდებოდა წლების განმავლობაში. ჰყვაოდა თვითნებობა და არაკომპეტენტურობა, უვარგისობა და არაობიექტურობა, მოჩვენებითობა და პროტექციონიზმი. მერე მოვიდა თვალის ახელის, გამოღვიძების დრო, ერთდროულად წოდებული ჟამი ფეთანალიზისა და ჩაღენილ ცოდვათა მხილებისა, ცნებათა, ღირებულებათა გადაფასებისა. პარტია ყოველნაირად ცდილობს შექმნილი სოციალური და პოლიტიკური კრიზისიდან საზოგადოება გამოიყვანოს, დაკარგული ავტორიტეტი აღიდგინოს. სხვა საკითხია, რამდენად გულწრფელია იგი თავისი ხალხის წინაშე და შეძლებს, თუ არა გაიყოლიოს ისინი თვისობრივად ახალი საზოგადოებრივი სტრუქტურების ასაშენებლად. ჩვენს წინ მიმდინარე მღელვარე მოვლენების დინამიკას როცა ღრმად ვიცნობიერებთ, უნებურად მივდივართ ეჭვმიუტანელ დასკვნამდე: ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ ისტორიულ ცვლილებებს, ფსიქოლოგიური გარდატეხის ცხოველმყოფელ პროცესებს მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ეროვნულმა მოძრაობამ, ამ ბოლო დროს გაჩენილმა სხვადასხვა პოლიტიკურმა ძალებმა, რომელთაც შესაძლოა განსხვავებული პლატფორმები გააჩნდეთ, მაგრამ აერთიანებთ ერთი რამ: მრავალტანჯული სამშობლოსადმი ერთგულების გრძნობა.

დიახ, უჩვეულო გამოცოცხლებაა ჩვენს ხალხში. მოაქვს ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება, მივიწყებული, დათრგუნული ინტერესების გაღვიძება, პატრიოტული გრძნობების არნახული აღტკინება. ასეთ დროს, როცა ერი თავისი განვითარების გზას კარდინალურად ცვლის და სამომავლო ორიენტირებს აზუსტებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ემოციებისა და საღი განსჯის გონივრულად შეხამებას. რაც არ უნდა აუცილებლობით ნაკარნახევი იყოს ვნებათა ღელვის საჯაროდ გამოტანა, მიტინგურ ეიფორიაში გონითი საწყისი, მომავლის მეცნიერული განჭვრეტის, მოქმედების ყველაზე ოპტიმალური გზებისა და მეთოდების ძიების შინაგანი ალღო არ უნდა ჩაგვეკარგოს. ყველაზე მეტად ეს ახლა გვჭირდება, როცა წინასაარჩევნო კამპანიაში გართ ჩაბმული და დიდი და პატარა, სხვადასხვა პლატფორმაზე მდგომი პარტიები და გაერთიანებები საქართველოს მომავალი, მრავალპარტიული, დემოკრატიული უზენაესი საბჭოს ჩამოყალიბებისათვის ვიღვწით.

ყველაფერი უნდა ვილონოთ იმისათვის, რომ არჩევნების სამზადისზე კეთილმყოფელ საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში ჩავაბათ განათლებული, მაღალზნეობრივი, გულმხურვალე მამულიშვილები, რომლებიც ყოველგვარ კონიუნქტურულ ინტერესებზე და პრინციპებზე მაღლა სამშობლოს ინტერესებს დააყენებენ. ბუნებრივია, ბევრი ეცდება დაძაბულობისა და უნდობლობის ატმოსფეროს შექმნას, შეიტანოს დესტრუქციის ელემენტები, მიმართოს ამომრჩევლებთან კონტაქტის, მათზე ზემოქმედების საძრახ და ყოვლად მიუღებელ საშუალებებს. ასეთები დაუყოვნებლივ უნდა ვამხილოთ. ის, ვისაც სურს მშრომელთა ყურადღება მიიპყროს, მათი გული მოიგოს, უნდა ჰქონდეს საამისო ცოდნა, ტაქტი და მამულიშვილობა, ობიექტურობა და პატიოსნება. დეპუტატობის კანდიდატს ნდობისა და სიმპათიის ქულებს უპირველეს ყოვლისა თვით პიროვნული მე, მოქალაქეობრივი პოზიცია და პოლიტიკური რეალიზმი მოაპოვებინებს. ოღონდ არ უნდა დავაკნინოთ ყოველი ამომრჩევლის შინაგანი გონის, პოლიტიკური ინტუიციის მნიშვნელობა. მთავარია იგი არ შეცდეს და გააკეთოს სწორი არჩევანი. ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ საქართველო ყოველგვარ პარტიულ ინტერესებზე მაღლა დგას. იგი ზეპარტიული ცნებაა და ამიტომაც გვმართებს, მოჭადრაკის ენაზე რომ ვთქვათ, უზუსტესი სვლის გაკეთება. ყველანი უნდა შეგვაკავშიროს ეროვნული ერთიანობის იდეამ. მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ საწადელს. და ამის საჭიროება ყოველმა ჩვენგანმა ღრმად და დროულად უნდა გაიცნობიეროს.

## საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების რაიონული საუბნო-საარჩევნო კომისიები

**ყახათის საარჩევნო უბანი № 4**

ყალიჩავა თემურ (თავმჯდომარე)
მოსია ჯანა
კაკულია მედიკო
ხუფაცარია ზურაბ
შედანია მალხაზ

**ქვემო ყახათის საარჩევნო უბანი № 5**

ჩახაია მურთაზ (თავმჯდომარე)
უბილავა გოჩა
გუგუჩია მზია
თოდუა რევაზი
დარასელია მანონი

**შამგონის საარჩევნო უბანი № 8**

აქუბარდია გულნარა
ღურწკაია აკაკი (თავმჯდომარე)
ხუბუა მამუკა
ყალიჩავა როზეტა
შენგელია გენო
ხუბუა მერაბი

**დარჩელის საარჩევნო უბანი № 12**

ბერაია ლუბა
შელია ბოჩია
კალანდია ბეჟანი (თავმჯდომარე).
კერზაია ნინო
არნანია გენადი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოდიში" № 113.

**ტელმანის საარჩევნო უბანი № 18**

ოყუჯავა გონელი (თავმჯდომარე)
ბიგვავა ანგელი
ეჯიბია ედიშერი
ბიგვავა ნანი
ნაყოფია ბესიკი

**კიროვის საარჩევნო უბანი № 14**

ზარქუა ასლან
ქობალია ლერი (თავმჯდომარე)
შონია ხვიჩა
ნაჭყებია გონელი
ქობალია ფატიმა
ცარციძე მარინე

**კოკის საარჩევნო უბანი № 17**

შენგელია ჯემალ (თავმჯდომარე).
ნარმანია ჟორჟი
გულორდავა თინა
ღურწკაია ვალია
ეხვაია დათო

**ორსანტიის საარჩევნო უბანი № 18**

კვარაცხელია დენიზი
გუნჯუა ზურაბი (თავმჯდომარე)
ალფენიძე ჯანიკო
აბსანძე გიგლა
გაბისონია თამაზი
(გაგრძელება იქნება)

საკვები—90

## წარმატებით გრძელდება

უზრუნველვყოთ პირუტყვი ადგილობრივი იაფი საკვებით. ამ დევიზით შრომობენ წელს რაიონის საკვებმომპოვებლები მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში და სასურველ შედეგებსაც აღწევენ. 24 სექტემბრისათვის რაიონში დამზადებულია 21 ათასი ტონა სილოსი და 1000 ტონა თივა.

საკვების დამზადების საქმეში დაწინაურდნენ: ნარაზენის, ჯიხაშკარის, ახალსოფლის, ახალაბასთუმნის, კოკის, ყახათის კოლმეურნეობები, დარჩელისა და ზედაეწერის მეურნეობები.

საკვების დამზადება წარმატებით გრძელდება.

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტში

## მრავალპარტიული არჩევნების შესახვედრად

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ყველა საზოგადოებრივ პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, ამომრჩეველთა გარკვეულმა ჯგუფებმა უკვე დაამთავრეს თავიანთი წარმომადგენლების დასახელება ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში. მუშაობას შეუდგნენ საარჩევნო უბნები და კომისიები. მალე ნდობით აღჭურვილი პირები და საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრები შეუდგებიან დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაციას. ღრმად უნდა ვიყოთ დარწმუნებული იმაში რომ ჩვენი მშრომელები აირჩევენ ჭეშმარიტად გონიერ, ბრძენ პარლამენტს, რომელიც სერიოზულ ნაბიჯს გადადგამს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, ჰუმანური, დემოკრატიული და სამართლებრივი საზოგადოების ასაშენებლად. ახლა საჭიროა ყოველმხრივ მომზადებული შევეგებოთ კარს მომდგარ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებს.

ამ საკითხების ირგვლივ საქმიანი კონსტრუქციული საუბარი გაიმართა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის ბიუროზე, სადაც მოსმენილ იქნა ინფორმაცია პირველი მრავალპარტიული არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

წინა საარჩევნო კამპანია და თვით არჩევნებიც,— ითქვა ბიუროზე,— ზედმიწევნით დემოკრატიულ, მშვიდ კონსტრუქციულ ვითარებაში უნდა ჩატარდეს, უნდა შევქმნათ ყველა პირობა რათა ამომრჩევლებმა თავისუფლად გამოხატონ თავიანთი ნება, ხმა მისცენ დეპუტატობის იმ კანდიდატს, რომელიც დაიცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს პარლამენტში.

ბიუროზე მრავალი კონკრეტული წინადადება გამოითქვა, რომელმაც ასახვა ჰპოვა დადგენილებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ

# Გ Ა Დ Ა Წ Ყ Ვ Ე Ტ Ი Ლ Ე Ბ Ა

## ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ ᲒᲝᲠᲐᲖᲔ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ამას წინათ გაიმართა ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გასვლითი გაფართოებული სხდომა, სადაც აღმასკომის წევრების გარდა მოწვეულნი იყვნენ დეპუტატები, ომისა და შრომის ვეტერანები, მაცხოვრის გორის მიმდებარე ქუჩების მოსახლეობა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებებისა და სამმართველოს მუშაკები.

სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი „მაცხოვრის გორაზე შექმნილი საგანგებო მდგომარეობის შესახებ".

გაფართოებულმა სხდომამ განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, რომელიც ქვემოთ ქვეყნდება.

სახალხო დეპუტატთა ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გაფართოებული სხდომა აღნიშნავს, რომ დემოკრატიის პირობებში ზოგიერთი ჩვენი თანამოქალაქეების მოქმედება ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ამის ნათელი მაგალითია მაცხოვრის გორაზე არსებული სასაფლაოს ირგვლივ შექმნილი ვითარება.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს და მისი შესაბამისი სამსახურების მხრივ საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების და საერთოდ შექმნილი ვითარების შედეგად, სასაფლაოს შიდა ტერიტორიაზე მთელმა რიგმა მოქალაქეებმა თვითნებურად დაიკავეს მიწის ნაკვეთები. ზოგიერთმა მოასწრო კიდეც ათეული წლების წინათ გარდაცვლილ წინაპართა გადმოსვენებაც. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოქალაქეების: გ. შამათავას, ლ. ნორაკიძის, თ. ქანთარიას, გ. ხვიტიას თვითნებობა, რომლებმაც ნებართვის გარეშე დაიკავეს მიწის ნაკვეთები, ისიც სამ ნორმაზე მეტი ოდენობით, ხოლო ც. ქობალიას ოჯახმა დაიკავა მათზე გამოყოფილი სასაფლაოს წინ არსებული 15 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი.

მოქალაქეთა თვითნებობა იქამდე მიდის, რომ ისინი არღვევენ სასაფლაოსა და მაცხოვრის გორის ბაღის გამმიჯნავ ყრუ კედელს და იტაცებენ ბაღის ტერიტორიასაც. ასე მოიქცა მოქალაქე ჯ. ბურდაშვილი და სხვა. ყოველივე ეს ქალაქის მოსახლეობის, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების სამართლიან უკმაყოფილებას და აღშფოთებას იწვევს, ისინი კატეგორიულად მოითხოვენ სათანადო წესრიგის დამყარებას და ასეთი უმსგავსო ფაქტების სასწრაფოდ აღკვეთას, გაფართოებული სხდომის მონაწილეთა ერთსულოვანი მოთხოვნა ასეთია: ბოლო მოეღოს მაცხოვრის გორაზე გაშენებული ბაღის ტერიტორიის ხელყოფასა და ასეთის მცდელობის ყოველი კონკრეტული შემთხვევა გახდეს უმკაცრესი რეაგირების საგანი.

სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ ათეული წლების განმავლობაში მოუვლელია მაცხოვრის გორაზე მდებარე ბაღი, ხოლო იქ არსებული შენობა ნახევრად დანგრეულია და საეჭვო პირთა თავშესაყარად არის გადაქცეული.

ზემოთ აღნიშნულ არასასურველ მდგომარეობას და საერთოდ ქალაქში მიწათსარგებლობის საქმეში შექმნილ ვითარებას ხელს უწყობს ქალაქის მთავარი არქიტექტორის ამხ. გ. იზორიას მხრივ უკონტროლობა და უპრინციპო დამოკიდებულებაც.

სახალხო დეპუტატთა ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გაფართოებულმა სხდომამ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ:

1. დაევალოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს (მ. ლვინჯილია, ლ. ჭგერენაია) მიიღონ გადამჭრელი ზომები ქალაქის სასაფლაო მეურნეობებში და განსაკუთრებით მაცხოვრის გორაზე არსებულ სასაფლაოში შექმნილი მდგომარეობის მოსაწესრიგებლად, რისთვისაც:

—15 ოქტომბრამდე უზრუნველყონ სასაფლაოსა და ბაღის გამმიჯნავი ყრუ კედლის მოწყობა.

—იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებმაც თვითნებურად მოაწყვეს სასაფლაოები, ისიც ნორმების უხეში დარღვევით მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები, ხოლო სასაფლაოს შიდა ტერიტორიაზე არსებულ თავისუფალ ნაკვეთზე ნორმების შესაბამისად; 20 დღის ვადაში მოაწყონ სასაფლაო ნაკვეთები, რომელთა გაცემა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აწარმოონ სათანადო წესების დაცვით.

—გააძლიერონ სასაფლაოზე ყოველდღიური კონტროლი მომავალშიც რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

2. შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონულმა განყოფილებამ (ლ. ჯოჯუა) მოქალაქეების მხრიდან მიწის ნაკვეთების მიტაცების ყოველ შემთხვევას მისცეს სათანადო რეაგირება კანონმდებლობის დაცვით.

3. ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა გ. იზორიამ მეტი პრინციპულობა გამოიჩინოს მიწათსარგებლობის საქმეში არსებულ ხურიოზული ნაკლოვანებების აღსაკვეთად და არ დაუშვას მოქალაქეთა მხრივ თვითნებობის ფაქტები.

4. საფინანსო განყოფილებამ (ზ. მიქავა) მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წესით გამოუყოს საჭირო თანხები მაცხოვრის სასაფლაოს შემოსაკავებლად.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ მოქალაქე ჯ. ბურდაშვილის მიერ თვითნებურად მიტაცებული მაცხოვრის გორის ბაღის ნაკვეთი გამოთავისუფლებულია დანიშნულებისამებრ.

—მთავარი არქიტექტორის გ. იზორიას განცხადება, რომ დამთავრების სტადიაშია მაცხოვრის გორაზე კულტურისა და დასვენების ცენტრი და საერთოდ აღნიშნული ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების დაპროექტება.

6. მაცხოვრის სასაფლაოს ირგვლივ შექმნილი მდგომარეობის გამო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი და საწესჩვეულებო მომსახურების სამქროს ოსტატი მ. ლვინჯილია და ლ. ჭგერენაია იმსახურებენ უმკაცრეს სასჯელს, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ გარემოებას ხელს უწყობს საერთოდ შექმნილი ვითარება, ამასთან ბოლო პერიოდში მკვეთრად შეცვალეს საქმისადმი დამოკიდებულება და იძლევიან პირობას მდგომარეობის გამოსწორების, ლ. ჭგერენაიას გამოეცხადოს საყვედური, ხოლო მ. ლვინჯილიას მიეთითოს.

ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

# ᲓᲠᲝᲘᲡ ᲓᲘᲜᲔᲑᲐᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲐ

სკოლაზე, სწავლა-აღზრდაზე საუბრისას აუცილებელია შემდეგ კითხვებს გავცეთ პასუხი: ვინ? რა? ვის? როგორ? ე. ი. ვინ ასწავლოს? რა ასწავლოს? ვის ასწავლოს? როგორ ასწავლოს? სამწუხაროდ ჩვენ ამ კითხვებს პასუხებს არ ვუძებნით.

სკოლა ჩამორჩა დროის დინებას და ამაში მხოლოდ პედაგოგს ვერ დავადანაშაულებთ. საზოგადოების თვისობრივმა განახლებამ გავლენა ვერ მოახდინა სკოლაზე და ამას აქვს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები.

ძალიან ხშირად გვესმის ზემდგომი ორგანოებიდან და, საერთოდ, ყველა გულშემატკივრისაგან, რომ სწავლებაში, სკოლის ცხოვრებაში დავნერგოთ სიახლეები, ახლებურად ვიმუშაოთ და ა. შ. მაგრამ რა არის ეს „სიახლე"—კონკრეტულად ვერავინ ვერაფერს გვეუბნება. „რაღაც სიახლის" გამოკიდებამ, ექსპერიმენტებმა, საკითხების კერძოდ, თვითნებურად გადაწყვეტამ, მიზნის გაუთვლელობამ კი ჩიხში მოაქცია სკოლა და მან ის ფუნქციაც დაკარგა რომელიც ადრე გააჩნდა... ხატოვნად ჟღერს გამონათქვამი სკოლაზე:—„სკოლა შეიძლება შევადაროთ ავადმყოფს, რომელსაც დიაგნოზი არა აქვს დასმული, წამალს კი წარამარა უცვლიან".

ნურავინ გამიგებს ისე, „ძველ კიდებას" მივტიროდე და ახლის ძიების წინააღმდეგი ვიყო. მაგრამ, მგონია, ამ ფართო პლანით სიახლეების დანერგვის გზების ძიებამ და ექსპერიმენტებმა დააშორეს მოსწავლე და მასწავლებელი ერთმანეთს. უმჯობესი იქნება მოსწავლე ექსპერიმენტის გარეშე დავუბრუნოთ წიგნს. გამოვიდეთ კრიზისიდან და თუ კი ახლებურად ვერაფერს შევიმოქმედებთ, ძველი მაინც არ დავკარგოთ. მოსწავლეს [illegible] ცოდნა მივცეთ, ინტერესი დავუბრუნოთ, გამოვაცოცხლოთ, თორემ თამაზ წიწვაძისა არ იყოს, ცოტაა ჩვენს სკოლებში გიგლა და საერთო ფონის შემხედვარეს მართლაც მოგეწევა თქმა—„გვყოფა გიგლა სწავლა".

მასწავლებელი შემოქმედი პიროვნებაა და მისი ხვედრია ყველას ასწავლოს: მას, ვისაც სწავლა უნდა, ან არ უნდა, შეუძლია, ან არ შეუძლია; ისაც კი, როცა მას სახელმძღ ნელოებით არ ამარაგებენ, რამებით არ ანებივრებენ, მეთ ურ მითითებებსა და რეკომენ ციებს საერთოდ არ მიაწოდ როდესაც სტაბილურად საა ლო წლის დაწყებას ვერ გად წყვეტენ... და ყველაფერი ე მინიმალური ანაზღაურების სად, რომელიც სამარცხვინ კია. მადლობის მეტი რა გვე ქმის განაკვეთის შემცირებ გამო, მაგრამ კიდევ ერთხ

გავზარდოთ მასწავლებლის ხელფ სებს და ფასების რეალურ დ ნეს. შედარებაც კი სირცხვილ მათ - უფრო დღეს, როცა კოოპ რატივების ბუმმა კულმინაცი მიაღწია.

ახლა ბევრი საუბარია იმაზ თუ როგორი უნდა იყოს დემო კრატიული სკოლა, როგორ უნ იმართოს სკოლა დემოკრატი საწყისებზე. განათლების გან ყოფილებამ ანკეტირებაც კი ჩატ ყო პედაგოგთა შორის, სა ერთი ასეთი კითხვა იყო: „მა თავს თუ არა სკოლის ხელმ ვანელი დემოკრატიულად ისევ მბრძანებლური ატმოს როა". საზოგადოება უკიდურ ად დაძაბულია და არ ის დრო ერთმანეთი ან ხასიათი დავუმძიმოთ. სკო აში წესრიგი უნდა იყოს. ყვე ამ თავისი საქმე აკეთოს კე ლსინდისიერად, საქმიანად, ერ გულად. დღეს ხელმძღვანე დემოკრატობა თვით კოლექ ზეა დამოკიდებული. სკოლ თვით კოლექტივის მონდომ ნორმალური სამუშაო ატმოს რო უნდა სუფევდეს. უნდა როდეს პედაგოგს სკოლაში ვლა, რადგან ჰიუგოს თქმ არ იყოს, „ბედნიერია ის ოანი, ვისაც სახლიდან სამსახ ში მიეხარია, სამსახურიდ სახლში". არადა რამდენს ებთ ერთმანეთს.

ჩვენი, პედაგოგების რთული სიტუაციიდან გამოსავალი, მეტი მონდომ პროფესიონალიზმით, დაგვით დავუბრუნოთ მოსწავლ ები წიგნს, ცოდნის წყურ და ნუ აღვუზრდით თავისუფალ საქართველოს გნურ თაობას.

ᲘᲠᲘᲜᲐ ᲛᲘᲜᲯᲝᲠᲐᲘᲐ,
ინგირის მეორე საშუ
სკოლის დირექტორი

# ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ამჟამად, როცა რესპუბლიკაში, ასევე, ჩვენს რეგიონში დაძაბული პოლიტიკური ვითარებაა და კარზე მომდგარია საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები, დარჩელის სახალხო ფრონტის ინიციატივით მოწვეულ იქნა სოფლის ყრილობა, სადაც განიხილეს სოფელში არსებული პრობლემები.

ყრილობა გახსნა სახალხო ფრონტის დარჩელის პირველადი ჯგუფის ხელმძღვანელმა ა. არხანიამ. მან აღნიშნა, რომ ასეთი ყრილობა პირველად ტარდება დარჩელში, როცა სოფლის მოსახლეობა თავის სატკივარზე პირისპირ პაექრობს ხელმძღვანელობასთან დროის მოთხოვნით წამოჭრილი პრობლემების შესახებ.

ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა დარჩელის მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ბ. არხანია, რომელმაც მხარი დაუჭირა ხალხის მოთხოვნას, რომელიც შედგება ექვსი მუხლისაგან:

პირველი: ეკლესიის მშენებლობის (იგი დაანგრიეს 20-იან წლებში) შესახებ, მეორე: ჩაის ფილიალისა და № 108 პროფტექნიკური სასწავლებლის განკარგულებაში გადაცემული დარჩელის კუთვნილი მიწების კანონიერი პატრონისათვის დაბრუნების შესახებ, მესამე: დარჩელის ჩაის ფაბრიკის მეურნეობისათვის გადაცემის; მეოთხე: სოფლის მშრომელებისათვის სამოსახლო მიწების გამოყოფის; მეხუთე: უკანონოდ გაუქმებული საავადმყოფოს გახსნა, მეექვსე: სოფლის შემდგომი განაშენიანების.

თავის გამოსვლებში დასმულ საკითხებს მხარი დაუჭირეს დამსწრეთა დიდმა უმრავლესობამ. სკოლის მიშენების სამუშაოების შეჩერებას ხაზი გაუსვა სასწავლო ნაწილის გამგემ ა. არხანიამ. აზრი გამოთქვეს: მეურნეობის არენდატორმა გ. კვარაცხელიამ, ფაბრიკის დირექტორმა ჯ. ბულიამ, საშუალო სკოლის დირექტორმა მ. ჩანგელიამ, მეურნეობის დირექტორმა მ. ახალაიამ, ზუგდიდის რეგიონალური სახალხო ფრონტის გამგეობის წევრმა ა. არხანიამ.

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდნენ: ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. გუნავა, სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონალური გამგეობის თავმჯდომარე ა. ტუღუში, შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების უფროსი ლ. ჯოჯუა.

ყრილობამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

მარად ცოცხალი სახელები

# სალოცავად საქართველო მეყოფა...

ოდიში. ჩვენი კუთხის ეს კოპწია სოფელი ანაზდეულად ასოცირდება შესანიშნავი ქართველი ლირიკოსის ალექსანდრე საჯაიას სახელთან. აქ, საოცრად რელიეფურ სერზე ჩადგმულ ფაცრულ სახლში დაიბადა იგი. ზედმიწევნით პატიოსანი და ღვთისმოსავი მისი მშობლები ალექსი და მაშო პატარაობიდანვე ღვივებდნენ ალიოშას სულში სიკეთისა და სიყვარულის თესლს. აქედან, ამ თვალწარმტაცი ოდიშური სანახებიდან გამოჰყვა პოეზიით გულანთებულ ყმაწვილს სამყაროში დაფანტული იდუმალების ფილოსოფიური ჭვრეტის ჟინი. თბილისში განსწავლის წლებმა, იმისწინანდელ



ლიტერატურულ თაობასთან სულიერმა ნათესაობამ თვალსაწიერი კიდევ უფრო გაუფართოვა ლირიკოს პოეტს. იბადება პირველი ხალასი სტრიქონები, სინათლითა და სიმშვიდით აღსავსე მხატვრული სახეები. თბილისის ბობოქარ ცხოვრებაში ჩართულ შემოქმედს, ვერის ხევში მორაკრაკე ღელის ჩურჩული მშობლიური სინწყის პირას ჩამოწოლილ ნისლს და მამისეულ კერას აგონებდა: „ეს კედლები, ძველისძველი, მრავალ წელთა წვიმით სველი, მრავალ ქართა წერა, ათას მზეზე ბორთქლილი, ასე ტკბილი, ასე თბილი, მამა-პაპის კერა“.

ეს ლამაზრიკულებიანი მაშაპაური სახლი ახლაც დგას ოდიშში. ალიოშას მუზის თაყვანისმცემელმა თანასოფლელებმა ყურადღება არ მოაკლეს მას, ეზოკარმიდამო წესრიგში მოიყვანეს, ოდა შეაკეთეს, ხოლო ჟამთა ქარებისაგან გაცრეცილი კედლები პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალებით დაამშვენეს. ნახავ ფოტოებს, საიდანაც ახალი ლიტერატურული თაობის სახელოვანი წარმომადგენლები: ვლადიმერ უბილავა, ნიკა აგიაშვილი, სევერიან ისიანი, გიორგი ნაფეტვარიძე, ლადო ასათიანი, ვახტანგ ჭელიძე და სხვანი გვიმზერენ. ასე იქცა თანასოფლელთა ზრუნვით გამთბარი ეს ოდა პოეტის სახლ-მუზეუმად, რომლის ჭირისუფლობა ოდიშელებთან ერთად ამიერიდან საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის განყოფილებამაც იტვირთა.

და აი, სახლ-მუზეუმის საზეიმოდ გახსნის დღე — 15 სექტემბერიც დადგა. პოეტის სახლისკენ მიმავალ ბილიკზე სტუმარმასპინძელთა გრძელი მწკრივი გაიჭიმა. იგერ, მამისეული ეზო, 1944 წლის შემოდგომის ერთ ბირქუშ დღეს სვანეთიდან ჩამოსვენებული ალიოშას კუბოთი ელდანაკრავი. მწერალ ვახტანგ ჭელიძეს ცრემლი მოგვარა ნაცნობი სანახების ხილვამ. რამდენ სევდას იტევს ეს კედლები, ეს ღელე და ფშანი, სადაც თავის სულიერ ძმასთან ერთად ბატონ ვახტანგს ლორჭოები უჭერია, თქორით ჩამობურულ მდინარის-პირა ჭალებზე ალიოშასთან ერთად პოეტურ ფიქრს აყოლებია.

ვახტანგ ჭელიძე და ოდიშელთა თავკაცი მეგონა ლურწკაია დამსწრეთა ტაშის გრიალში ჭრიან წითელ ლენტს. პოეტის სახლ-მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო შეკრებას შესავალი სიტყვით ხსნის მეგონა ლურწკაია. პოეტის შემოქმედებაზე საუბრობს საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის განყოფილების თავმჯდომარე ჯ. ქირია. თავისი სულიერი ძმა სიყვარულით მოიგონა მწერალმა ვახტანგ ჭელიძემ. ზეიმის მონაწილეებს მიესალმნენ პოეტი ზაურ მოლაშხია, ოდიშის მკვიდრი ალექსანდრე ზულია, პოეტი ბათუ დანელია, პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, საქალაქო და რაიონული საბჭოების გაერთიანებული პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მუნავე, ცნობილი პუბლიცისტი ფილიპე მახარაძე.

დამსწრე საზოგადოებას, სოფლისა და რაიონის თავკაცებს, საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის განყოფილებას მადლობის სიტყვებით მიმართა პოეტის ვაჟმა არჩილ საჯაიამ, დიდი კმაყოფილება გამოხატა სახელოვანი მამის ესოდენ დიდი დაფასებისათვის.

ზეიმი დაამშვენა ოდიშელი მოსწავლეების მიერ წარმოდგენილმა ლიტერატურულ-მუსიკალურმა მონტაჟმა.

* * *

დღის ხუთი საათისათვის ზეიმმა ქალაქში გადაინაცვლა. შ. დადიანის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის განყოფილების თავმჯდომარემ, პროზაიკოსმა ჯემალ ქირიამ. საღამოს დამსწრეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მწერალ ვახტანგ ჭელიძის, ოდიშელი პედაგოგის ფირუზ ქოჩუას, პოეტების: ზაურ მოლაშხიას და გეხო კალანდიას, მწერალ ზაურ კალანდიას, პოეტ ბათუ დანელიას და სხვათა გამოსვლები.

ქალაქის მხატვრული კოლექტივების მიერ წარმოდგენილ იქნა მშვენიერი თეატრალიზებული სანახაობა, რომლითაც ერთხელ კიდევ მთელი სისავსით და ემოციურობით წარმოჩნდა ალექსანდრე საჯაიას ლამაზი ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები, მისი თავანკარა პოეზიის აბდამატი. საღამოს წამყვანებმა დროებით გადაგვიყვანეს არც თუ ისე შორეულ წარსულში. იყო ავტორიტარული რეჟიმის წნეხი, ტრაგიზმითა და აბსურდულობით დამუხტული დრო, მაგრამ მაინც ფეთქავდა ქართველ კაცში პოეტური გენი, ჟღერდა უნატიფესი ლირიკა. გაზაფხულზე მოვარდნილ წყალდიდობას გავდა იმის წინანდელი ლიტერატურული თაობა, რომელმაც ქართულ მწერლობას ჭეშმარიტი შედევრები შესძინა. ეს გახლდათ მთელი თანავარსკვლავედი ნაღდი, ხალასი პოეტებისა, რომელთაც მოჰქონდათ თავისი დიდი სათქმელი, ჰქონდათ სამყაროს პოეტური, ფილოსოფიური ჭვრეტის ზედმიწევნით საკუთარი კუთხე და რაც მთავარია, იყვნენ ძმობის, სიყვარულის ჭეშმარიტი რაინდები. „დროთა, გამოჩნდე, გაიზაფხულო, ნახო ცა-ფირუზ ქვეყნის დარობა, ვინ გაიგონა საქართველოში, ლექსის ობლობა, უსახლკარობა“... ვარლამ ჟურულის ეს სტრიქონებიც მიგვანიშნებს, რომ ალექსანდრე საჯაიას პოეზიას დავიწყება არ უწერია. შთამომავლობა თვალწინ მარად ინათებს ხატი მწერლობის კერას შეწირული კაცისა, ვინც შვლის ნუკრის თვალებით უცქეროდა ამ ქვეყანას, ჰქონდა დედის ცრემლივით სუფთა და მართალი გული და დაგვიტოვა ლექსები, რომლებიც საოცრად თანხმიერია ქართველი კაცის დღევანდელ ტკივილთან, თუ სალხენთან.

ზ. ცხონდია,

* * *

სურათზე: სახლ-მუზეუმის გახსნისას.

ფოტო გ. მითაგვარიასი

# ეკოლოგია და კულტურა

დღეს-დღეობით სსრკ-ში ეკოლოგიური სიტუაცია სავალალოა: 50 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს ქალაქებში, სადაც ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია დასაშვებს ათჯერ და მეტჯერ აღემატება. მტკნარი წყლების ორი მესამედი ვერ პასუხობს ნორმატიულ მოთხოვნებს. ხდება გამდინარე წყლების კატასტროფული დაბინძურება. 600 ქალაქში კი საერთოდ არ ხდება მათი გაწმენდა ან ხდება ნაწილობრივ და უხარისხოდ. მილიონობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწა გამოსულია წყობიდან სამთო საქმიანობის, ეროზიის, გაუდაბნოების, მარილების კონცენტრაციის ზრდის შედეგად. მენდელეევის სისტემაში არ არსებობს უკვე ელემენტები, რომლებიც ბუნების დაბინძურებაში არ ღებულობდეს მონაწილეობას. ყოველწლიურად ატმოსფეროში გადის 70 მლნ. კუბური მეტრი გაზი, 145 მლნ. ტონა ნახშირის ორჟანგი, მილიონამდე ტონა ტყვიის შენაერთები და კიდევ ათასობით ტონა სხვა მეტალები, ქლორისა და ფტორის შენაერთები და ტოქსიკური ნივთიერებები.

როცა ადამიანი ამ მონაცემებს ეცნობა, უნებლიედ გებადება კითხვა: ნუთუ ამ გარემოში კიდევ შეიძლება არსებობა? ალბათ მოქმედებს ბიოლოგიური ადაპტაციის მექანიზმი, მაგრამ ამასაც ხომ აქვს თავისი ზღვარი, მერე?

ეკოლოგიის პრობლემებს საკავშირო მასშტაბით წყვეტს სამი სახელმწიფო კომიტეტი: ბუნების დაცვის, ჰიდრომეტეოროლოგიური, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური. ვინ უნდა გადაწყვიტოს, ვის უნდა მოვკითხოთ? საჭიროა თუ არა ამ კომიტეტებზე კონტროლი აღმასრულებელი ორგანოებიდან საკანონმდებლო ორგანოებს გადაეცეთ? თუ მათი სრული დამოუკიდებულებაა საჭირო? ამ კითხვაზე ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გასცენ პასუხი. ერთი ამბავია, ბუნება უარს ამბობს გაზრდის ისეთი, როგორიც ხელისუფლებას უნდა, ხელისუფლება უნდა გაზდეს ისეთი, როგორიც ბუნებას სჭირდება.

ქალაქი ზუგდიდი ეკუთვნის იმ ქალაქთა რიცხვს, სადაც ეკოლოგიური მდგომარეობა ცუდია (აქ რა თქმა უნდა ბალანსურად დატვირთვის დრო უნდა გათვალისწინებული იყოს ინდუსტრიული სიმძლავრე და მოსახლეობის სიმჭიდროვე).

ზუგდიდის ეკოლოგიურ გაჭუჭყიანებაში გარკვეული წვლილი სამრეწველო საწარმოებზე მოდის. მთელი პასუხისმგებლობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ მათ ჩამონათვალში თითქმის არ არის არც ერთი, რომელიც აკმაყოფილებდეს ეკოლოგიურ მოთხოვნებს. ეკოლოგიის თვალსაზრისით და სუფთა სინდისით დღესვე შეიძლება ამ ქარხნების ან მათი ზოგიერთი საამქროების დახურვა. შესაძლებელია თუ არა ეს მორალური, სოციალური ან სხვა თვალსაზრისით? არ ვიცით.

ტრანსპორტის ზეგავლენა ქალაქის ჰაერის სისუფთავეზე აღწევს საშიშ ზომებს (წარმოიდგინეთ ჩვენი მანქანების, ჩვენი გზების და ბენზინის მდგომარეობა, მათი შედარებაც კი არ შეიძლება საერთაშორისო ნორმატივებთან).

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო [illegible] და საზოგადოებრივი კვების ობიექტებსაც შეაქვს გაბინძურებაში თავიანთი წვლილი. კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მეურნეობასაც ქალაქში ხანგრძლივი [illegible] მდგომარეობა ცუდ დღეშია. ამ მდგომარეობას ამძიმებს ის, რომ ქალაქის მოსახლეობის ნაწილი ქალაქში ცხოვრების კულტურის დეფიციტს განიცდის. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაყრა ხდება არაორგანიზებულად, ბევრია ანტისანიტარული კერები, მდინარე ჩხოუში იქცა სანაგვედ.

თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა კვების პროდუქტების ეკოლოგიური სისუფთავის (რადიონუკლიდებზე, ნიტრატებზე, პესტიციდებზე) კონტროლს. არსებობს ქალაქის ეკოლოგიური გაბინძურების მასალები, რომლებსაც რეგულარულად აქვეყნებს ჰიდრომეტეოროლოგიის კომიტეტის ბიულეტენი. შეიძლება თუ არა ვენდოთ ამ რიცხვებს? მხოლოდ ბალანსური გაფასების კუთხით. ყველა ეს მასალა მოითხოვს გადასინჯვას, დიდი კითხვის ქვეშ არის რით ვზომავთ, ზოგიერთი ინგრედიენტის დადგენა საერთოდ არ შეგვიძლია, ამიტომ აუცილებელია თანამედროვე აპარატურა, თანამედროვე ხელსაწყოები, მათი გამოყენებით უნდა შედგეს ქალაქის და რაიონის კორექტული ეკოლოგიური რუკა. საჭიროა რეგულარული ყოველდღიური ინფორმაციის გამოქვეყნება განსაკუთრებით წყლის და კვების პროდუქტებზე.

აუცილებელია სასწრაფოდ ქალაქ ზუგდიდის ეკოლოგიური გაჯანსაღების პროგრამის შედგენა, საჭირო იქნება ბევრი სხვა და სხვა პროფილის ექსპერტების ჩართვა და მოწვევა.

მივაღწევთ თუ არა პროგრამის დანერგილი ვარიანტის დეტალური რეალიზაციით ქ. ზუგდიდის ეკოლოგიური სიტუაციის კარდინალურ გაუმჯობესებას? კარდინალურს არა. ჯერ ერთი პროექტებიდან ტექნიკურ დანერგვამდე (რასაც მილიონები სჭირდება) დიდი გზაა, ჩვენი ტექნიკური რეალიზაცია კი თითქმის ყოველთვის დაბალი დონისაა, ყველა საკითხს კი ჯერ ვერ მოვუვლით.

მაგრამ ამ ეტაპზე ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ რეალური პროგრამის რეალიზაცია და საერთოდ ნებისმიერი მოქმედება ეკოლოგიური სტაბილიზაციისათვის ჩაითვალოს პირველი რანგის ამოცანად ყველა ზუგდიდელისათვის. ამისათვის დაგვჭირდება ქალაქის ეკონომიკის, ტექნოლოგიური და აღმასრულებელი კულტურის თანდათანობით ამაღლება და ქალაქის მოსახლეობის პატრიოტიზმი.

საქმეს გაართულებს ისიც, რომ ეკოლოგიას საზღვრები არა აქვს, ხოლო ფედერალური კანონების მიღება და ფედერალური ნორმების დადგენა მალე აუცილებელი გახდება.

პარალელურად მთელი ძალით უნდა დავიწყოთ რადიკალური შველის გზის რეალიზაცია ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში, რაც პირველხარისხოვანია. ეს გზა კი მხოლოდ ერთია: საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, დემოკრატიული საქართველოსათვის რეალური ეკ-

(დასასრული მე-4 გვერდზე).

## ეკოლოგია და კულტურა

(დასასრული)

ონომიკური მოდელის შექმნა და დანერგვა, ამ მოდელში დარჩენილი სამეურნეო დარგების თანამედროვე ცივილიზირებული ქვეყნების დონეზე აყვანა. ყველა ამ საკითხების გადაწყვეტაში ბუნებრივად შევა (ექსპერტიზის დონეზე) ყველა დარგის ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის პროგრამები. კონკრეტული დღევანდელი ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში შედგება ახალი პროექტები და მათი შედგენა იქნება სრული პრეროგატივა მეცნიერების, სპეციალისტების, მთელი საზოგადოების. ამ დიდ და რთულ გზაზე ყველა ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად ამაღლდება პოლიტიკური, ეკონომიკური, ცხოვრების, ურთიერთობის და საქმისადმი დამოკიდებულების კულტურა, რაც ქართველ ერს ყოველთვის ჰქონდა და დაკარგვინეს, ხოლო კულტურა არის ერთადერთი კატეგორია, რომელშიც ათასწლეულთა მანძილზე საშუალება მისცა ადამიანს სულ უფრო ნაკლებად ყოფილიყო მონა.

**თ. მჟავია,**
ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის „საინჟინრო ეკოლოგიის და შრომის დაცვის" კათედრის გამგე, დოცენტი.

## განცხადებები:

**მოქალაქეთა საყურადღებოდ!**

შემნახველი ბანკის ქ. ზუგდიდის განყოფილება მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე აწარმოებს მოქალაქეებიდან მსუბუქი ავტომანქანის მომგებიან ანაბარზე 3000 მანეთის ოდენობით თანხის მიღებას, რომლის გათამაშების ტირაჟი ჩატარდება 1991 წლის აპრილის თვეში.

იღბლიან მეანაბრეს შეუძლია მოიგოს სხვადასხვა მარკის „ჟიგულის" ტიპის ავტომანქანა.

**შემნახველი ბანკის ადმინისტრაცია.**

---

ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი „ოდიში" აცხადებს 1975-76-77-78 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა მიღებას ფეხბურთის მოსამზადებელ ჯგუფში. გასინჯვა იწარმოებს ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე 1990 წლის 3—6—7—8—14 ოქტომბერს 15 საათიდან 17 საათამდე.

მოსწავლეებმა თან უნდა იქონიონ ცნობა ჯანმრთელობის შესახებ გაცემული ზუგდიდის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის მიერ, ასევე სპორტული ფორმა (კედი, მაისური, ტრუსი).

**მისამართი:** ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის ქუჩა № 4,
**ტელეფონი:** 2—67—11, 2—69—27.

**ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი „ოდიში"**

---

საქართველოს განათლების, მეცნიერების მუშაკთა და სტუდენტთა დამოუკიდებელი პროფკავშირის ზუგდიდის განათლების მუშაკთა სახლის დირექცია აცხადებს მოსწავლეთა მიღებას შემდეგ წრეებში; საქართველოს ისტორიის შემსწავლელი (პედაგოგი: მ. მებონია), ინგლისური ენის (პედაგოგი მ. თოფურიძე), ფიზიკის, ქიმიის, მძღოლ-მემანქანეთა, ჭრა-კერვის, ქსოვის, ქარგვის, ფოტომოყვარულთა და კოსმეტიკის.

მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა.

**მისამართი:** ზუგდიდის განათლების მუშაკთა სახლი, რუსთაველის ქ. № 103. ტელეფონი: 2—18—97, 2—36—49.

**განათლების მუშაკთა სახლის დირექცია.**

---

**ინვალიდთა და მათი ბედით დაინტერესებულ ადამიანთა საყურადღებოდ!**

5 ოქტომბერს, 17 საათზე, ზუგდიდის საქალაქო საბჭოს სხდომათა დარბაზში მოწვეულია სრულიად საქართველოს ლტოლვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია.

გთხოვთ დაესწროთ.

**სრულიად საქართველოს ლტოლვილთა კავშირის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენციის საინიციატივო ჯგუფი.**

---

მეუღლე ვარდიშა, შვილები: ომიანე, მიმოზა, დემური, თენგიზი, ია, და ლუნია. სიძეები: მიშა, მახუტი, რძალი ია ჯიქია, შვილიშვილები: პაატა, დათო როგავები, ხათუნა, ნინო ბალათურიები, დისშვილები: ედემი, რამინი, ენვერი, ახმედი. ცოლისდა ბაბუცა, ცოლისძმები: თეოტი, ორდენი ხუბულავები. დეიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ალექსანდრე (ჯოდი) პლატონის ძე როგავას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 27, 28 სექტემბერს, დაკრძალვა 29 სექტემბერს გრიგოლიშში.

---

მეუღლე თინა, შვილები: თენგიზი, ოთარი, რძლები გურანდა, ინეზა, თინა, შვილიშვილები: გოგა, გიზო, ბიცოლა გაგული, ბიძაშვილები: შურა, არიადნა, კლარა, გურამი, რეზო შედანიები, საშა, თინა, კუჭიკო ქორთუები. მამიდაშვილი ამალია, სიძე ხუტა გუგუჩია. ცოლისდები ეთერი, ლიანა, ძმები ტიტიკო, სოსო შენგელაიები ოჯახებით იუწყებიან

**გივი ნიკიფორის ძე შედანიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 28, 29 სექტემბერს, დაკრძალვა 30 სექტემბერს სოფელ კახათში.

---

### სოციალური კონტრასტები

## უვარგისი ნივთების დღე

ამ დღეს ბევრი ბრიუსელელი ყოველთვის მოუთმენლად ელოდება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით...

კომუნალური ხელისუფალნი ყოველწლიურად ატარებენ ძველი ნივთების შეგროვების დღეს, რომელსაც ოფიციალურად „უვარგისი ნივთების დღეს" უწოდებენ. სპეციალურად გამოყოფენ ტრანსპორტს, ძველ ნივთებს კი ძველმანი ნაგავსაყრელზე გააქვთ. მდიდრული ბინების მფლობელთათვის ეს იმის შესაძლებლობაა, რომ თავიდან მოიცილონ ხარახურა, ხოლო ასობით დაჩაგრულისათვის — რამდენადმე გამოასწორონ თავიანთი ფინანსური მდგომარეობა. წაიღებენ ძველ სარეცხ მანქანებსა, მაცივრებსა და სხვებს.

(საქინფორმი).

## უნდა მივხედოთ

ვეგემკორის ქუჩა საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარეა. აქ ისეთი ხალხმრავლობაა განსაკუთრებით შაბათს და კვირას, რომ გავლა ჭირს, მითუმეტეს წვიმიან ამინდში, არ არის მოწესრიგებული წყალსაწრეტი არხები, რის შედეგადაც იტბორება ეზოები.

განსაკუთრებით მოჩივიან მცხოვრებლები, რომლის საწინააღმდეგო ღონისძიებებს კარგა ხანია არ ატარებს სათანადო ორგანიზაციები. არც მაწანწალა ძაღლები აკლია ამ უბანს, ამასაც უნდა მოევლოს.

საქმეს მიხედვა სჭირდება.

**ბ. მაჭავარია.**

---

შვილი გულნარა გამსახურდია, სიძეები ვახტანგი კვარაცხელია, მერაბი ყუფუნია, შვილიშვილი ნანა, შვილთაშვილი თამული, მძახალი ვალია ზარანდია, მაზლიშვილები: ნორა, მეგონა, თინა, ვალია გამსახურდიები, მულიშვილები მაყვალა, საშა, როზა, ბოჩო, შაბო კვარაცხელიები, დისშვილები ციალა, ამირანი, იზოლდა, ნათელა ლომთაძეები, რეზო ბაბილოძე, ლიანა, კოლია, სერგო, ნარგიზა ესართიები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

**ანეტა ისაკის ასული ბარამიძე-გამსახურდიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 27, 28, 29 სექტემბერს, დაკრძალვა 30 სექტემბერს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება რუსთაველის ქ. № 150-დან.

---

დედა ლუარა, მეუღლე მანანა, შვილები: ნინო, ბაჩუკი, და ნანი, სიძეები: ელვარდი სახოკია, დემური თოლორდავა, მამიდები გოგუცა, მაყო, ლენა, დეიდები ნაზო, სულიკო, ლეილა, ბიძები ...ერი ჯანგველაძე, მიტია ლეამბერია, სიდედრი ლუნტუშა, სიმამრი შალიკო პანტურია, ცოლისდა მარინა, ცოლისძმა მერაბი, მამიდა ქუჟუნა, ბიძიები ბაგრატი, მამია პანტურიები, ლიონი როგავა, მამიდაშვილები რევაზი, ჯემალი, ნონა კაკულიები, დათო, სოსო, ნანა შარტავები, დეიდაშვილები რომეო, ნანი, რიტა, მამუკა, მაია, ნანა, გია, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვახტანგი ამირანის ძე ლეამბერიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 27, 28 სექტემბერს, დაკრძალვა 29 სექტემბერს, ახალაბასთუმანში.

---

ქალაქის მოზრდილთა პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან **ვახტანგ ამირანის ძე ლეამბერიას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

## რედაქტორი და დამწყები ლიტერატორი

(იგავი)

ერთმა დამწყებმა ლიტერატორმა რედაქტორს თავისი ნაწერები მიუტანა.

რედაქტორი ჭკვიანი კაცი იყო. რამდენიმე ფურცელი იქვე გადაიკითხა, მოეწონა ძლიერ. მერე ნაწერები თავის ხელჩანთაში ჩაწყო — სახლში წავიკითხავ, უფრო გულდასმითო. ახალგაზრდა ლიტერატორი ძალზე დაიმედებული და აღფრთოვანებული გამოისტუმრა.

ახალგაზრდა ლიტერატორს თურმე, რედაქტორის ქება დაიწყო: დიდებული პიროვნება ყოფილა, ძალზე კარგად, ყურადღებით, თანაგრძნობით, მომეპყრაო და ა. შ.

რამდენიმე დღის შემდეგ ავტორი დანიშნულ დროზე მივიდა რედაქტორთან.

რედაქტორმა ნაწერები სამუშაო მაგიდის უჯრიდან ამოიღო, ახალგაზრდა ლიტერატორს გაუღიმა, ნაწერები ნაკუწ-ნაკუწ დახია და იქვე მდგარ საქაღალდე ურნაში ჩაყარა.

ავტორი შეცბუნდა და გაწითლებულმა მიზეზი მორიდებულად იკითხა.

— რედაქტორმა მიუგო:

— ეჰ, ჩემო მეგობარო, ვიცი გამოუცდელი ხარ, ამიტომ მინდა კარგად დაიხსომო: სანამ ნაწარმოები არ გამოქვეყნდება, რედაქტორს ნურც აქებ და ნურც აძაგებ!

**მურად ჟანტურია.**

---

## შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონული განყოფილებიდან იტყობინებიან

მიმდინარე წლის 22 სექტემბერს დაუდგენელი პიროვნებების მიერ გაქურდულ იქნა ქ. ზუგდიდში კუიბიშევიდან სტუმრად ჩამოსული მოქალაქე მოსხიშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე.

ტარდება ღონისძიებები დამნაშავეთა დადგენა-დაკავების მიზნით.

---

## დ. ი. ჯიქია

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი აგრონომი, ომისა და შრომის ვეტერანი, წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენებისა და მრავალი მედლის კავალერი **დავით იოსების ძე ჯიქია.**

იგი დაიბადა 1912 წელს სოფელ [illegible]. ამთავრებს ხეთის საშუალო სკოლას, შემდგომ ნარაზენის სუბტროპიკულ ტექნიკუმს. პირველ ხანებში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მუშაობს ხობის განათლების განყოფილების ინსტრუქტორად.

1942 წლიდან 1945 წლამდე აქტიურ მონაწილეობას იღებდა დიდ სამამულო ომში, მიღებული ჰქონდა ჯილდოები.

დ. ჯიქია 1954 წლიდან 1988 წლამდე მუშაობდა ზუგდიდის სატყეო მეურნეობაში აგრონომად. გამოცდილ სპეციალისტს თავისი წვლილი შეჰქონდა ფლორის შენარჩუნების საქმეში.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი აგრონომი, ბუნების ქომაგი და მოტრფიალე, ახალგაზრდობის დამრიგებელი, რომლის ხსოვნა დიდხანს შემორჩებათ კოლეგებს, ამხანაგებს.

**ამხანაგების ჯგუფი.**

---

**რედაქტორი**
**აკ. ჟანტურია.**

---

ბიძაშვილი ტატიანა ლუკავა, სიძე აპოლონ გუბელაძე შვილებით დოდო, ემა, ალიკათი. რძლით, ნატო ჯანჯღავა და სიძე გოგი თოფურიათი იუწყებიან

**ამბროლი იპოლიტეს ძე ლუკავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 სექტემბერს ქ. ხობში, გამოსვენება ლენინის № 147-დან.

---

შვილები: დუნია, ვარო, ლუცია, ხათელა, ლამარა, ბონდო, გურამი, გულნაზი ბესელიები, ძმა გაჯი კუხალეიშვილი, დები: ლიმო, მელანია, კაკა, მაზლი ილიკო ბესელია, რძლები: მაგლონია, ბაჩუა, თამარა, ნელი, ზაირა, მარინა, მაყვალა, შვილიშვილები: ომარი, რევაზი, ჯემალი, ნონა, ნანი, ლალი, მანანა, ზაზა, მარინა, კოხა, კახა მზევი, მანონი, ეკა, ჯული, გია, ია, ლორიტა, ზაალი, ბიძაშვილები: ჟორჟე, ბოჩო, ბიჭიკო, გუძია სამუშიები, შვილთაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**მაშო (ფიქვა) გაიოზის ასული სამუშია-ბესელიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 27, 28 სექტემბერს, დაკრძალვა 29 სექტემბერს, სოფ. ორსანტიაში.

---

მეუღლე ეთერი, შვილები: ციალა, მზია, გულნაზი, იზო, მერაბი. ძმები: შოთა, ტარასი, გვანჯი. სიძეები: ვაჟა თაკალანძე, ზური ქობალია, რევაზი ბუაძე. რძლები: მარუსია, ნათელა, დავარი, რაისა, თალიკო, მარგო, ციალა. შვილიშვილები: სოსო ხაზალია, ინგა, ზაზა, ირინა ქობალიები, კახა, მედეა ბუაძეები, ძმისშვილები: გულიკო, ალიკო, ლივტერი, გული, ზაური, რუსიკო, ნარგიზა, რევაზი, მიმოზა, თინაზი, ქეთინო, გოჩა. ცოლისძმები: გრიშა, გრიგაშა მოსიები, მამიდაშვილი ფუფული თოდუა. ბიძაშვილები: ვალოდია, ნათელა, თალიკო, აბელი, გივი, ალიოშა, შოთა ლომაიები. ცოლისძმისშვილები ახლო ნათესავები იუწყებიან

**ლეონტი (ძღუძღუ) ჯანდუს ძე ნარმანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29 სექტემბერს, დაკრძალვა 30 სექტემბერს. სოფელ კოკში.

---

ორსანტიის საფოსტო განყოფილება, სასოფლო საბჭოს აღმასკომი, მეურნეობის დირექცია და საექიმო უბნის თანამშრომლები იუწყებიან **ალიოშა თევდორეს ძე ყურუას** გარდაცვალებას. და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-06

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000 შეკ. № 4238